ოქმი #2

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ცაგერი 29 იანვარი, 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, ო. ჩაკვეტაძე, ნ. ბურჯალიანი, მ. მამარდაშვილი, ე. საღინაძე, თ. ნემსწვერიძე, გ. გურგუჩიანი, გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე, ა. მახარობლიძე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბერის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 18 დეპუტატი/

დადგენილება:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბერის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა განმარტა, რომ ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველია 2024 წლის 1 იანვრისთვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი 3 744 661.82 ლარი, საიდანაც 2 958 115.72 ლარი მუნიციპალიტეტის ძირითადი სახაზინო ანგარიშის ნაშთია. საქართველოს მთავრობის ფონდიდან გამოყოფილი მთავრობის ნაშთიდან 732 622.03 თ. ლარი განაწილდა 2024 წლის ბიუჯეტის პირველი ცვლილების დროს, დარჩენილი ნაშთი 2 225 497.69 ლარია.

აღნიშნული თანხა გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტებსა და პროგრამებში: საგზაო ინფრასტრუქტურა, სანიაღვრე არხების მშენებლობა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის ღონისძიებები, წყლის სისტემების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, კანალიზაციის სისტემების მოწყობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები, საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის ხარჯები, ნაპირსამაგრი ღონისძიებები, სოფლის პროგრამები.

786546,1 ლარი არის 2024 წლის 1 იანვრისთვის ძირითად სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთი. აღნიშნული ნაშთიდან 500.0 ათ. ლარი არის საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის განკარგულებით გამოყოფილი თანხა. აღნიშნული ნაშთი უნდა მიიმართოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების დაფინანსებისთვის და ამავე თანხით შემცირდეს ბიუჯეტის შემოსულობები. დარჩენილი 286546,1 ლარიდან 118900 ლარი მიიმართა 2023 წელს სს ,,ენერგო პრო ჯორჯიას“ და საქართველოში გერმანიის განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი ნებაყოფილობითი ტრანსფერების დაფინანსებისთვის, კერძოდ: ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. სპათაგორის ხიდთან მდინარის დაღრმავების სამუშაოებისთვის და საქართველოში გერმანიის განვითარების ფონდსა და ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ,,ცაგერის მუნიციპალიტეტში პროექტის ,,საირმის სვეტებთან მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობისათვის.

2024 წლის 1 იანვრისთვის ძირითად სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთიდან დარჩენილი თანხა 167646,1 ლარი გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ოთახებისა და სოფ. ოყურეშში საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები, ა(ა)იპ ,,სამუსიკო სკოლის“ შენობის სახურავის შეკეთების სამუშაოები, მუნიციპალიტეტში 2023 წლის დეკემბერში მოსული უხვი ნალექის (თოვლი) შედეგად შიდა გზების გაწმენდა, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფ. ლაჯანაში უმწეოთა სასადილოს სარემონტო სამუშაოები, ა(ა)იპ ,,ისტორიული მუზეუმი“ (წიგნის გამოცემის ხარჯი, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ხვამლი“, ა(ა)იპ ,,კულტურის ცენტრი“ (ორი სპექტაკლის ხარჯი და ფოლკლორული ანსამბლების ფორმების ღირებულება), ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო (გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირებისთვის), ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა.

ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველია ასევე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის #44 განკარგულება ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“, მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 258378 ლარისა, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების ზრდა (ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო ერთი ერთეული ნაგავმზიდი).

ასევე ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 დეკემბრის #43 განკარგულებით მუნიციპალიტეტის გამოეყო თანხა - 206100 ლარი, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების ზრდა (მგზავრთა გადაყვანის მიზნით სამგზავრო ავტობუსების შესყიდვისთვის 2024 წელს გადასახდელი თანხა).

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 15

წინააღმდეგი: 3

/გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი